საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის
მინისტრს ბ-ნ ა. ჯორბენაძეს.

პატივცემულო ბატონო ავთანდილ!

მოგახსენებთ, რომ საოჯახო მედიცინის უმნიშვნელოვანესი როლი ნაციონალური ჯანდაცვის სისტემების განვითარებაში მსოფლიოს მასშტაბით არის აღიარებული. საოჯახო მედიცინის განვითარებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი.

საქართველოს ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის თაოსნობით ა/წ სექტემბერში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც სამუშაო სხდომებზე იმსჯელა საქართველოში საოჯახო მედიცინის განვითარების პერსპექტივებზე და დასაბუთებულად ჩათვალა საქართველოში " ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა" პროფესიული ასოციაციის ჩამოყალიბება, რომელიც თავისი მუშაობით ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში თანამედროვე ტიპის პირველადი სამედიცინო მომსახურების სისტემის და მისი ძირითადი ნაწილის საოჯახო მედიცინის განვითარებას. შემუშავებულია ასოციაციის წესდების პროექტი და მიღებულია გადაწყვეტილება ასოციაციის დამფუძნებელთა კონფერენციის (კრების) მოწვევის შესახებ.

გთხოვთ ხელი შეუწყოთ საქართველოს ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა ასოციაციის დამფუძნებელთა კონფერენციის ჩატარებას და მონაწილეობა მიიღოთ მის მუშაობაში.

გთხოვთ ნება დაგვრთოთ ასოციაციის დამფუძნებელთა კონფერენცია ჩავატაროთ სამინისტროს დიდ საკონფერენციო დარბაზში ა/წ 8 დეკემბერს, 14.00 სთ-ზე.

სავარაუდოა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოში ჯანდაცვის სისტემის რეფორმის პროცესში პირველადი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობა

   მომხსენებელი: მინისტრი ა.ჯორბენაძე

2. საოჯახო მედიცინის როლი თანამედროვე ეტაპზე ჯანდაცვის სისტემისა და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების განვითარების საქმეში

   მომხსენებელი: პროფესორი ა.ალადაშვილი

3. ასოციაციის წესდების პროექტის განხილვა

4. მიმდინარე საკითხები

საინიციატივო ჯგუფის წევრები

1. პროფ. ა.გამყრელიძე
2. პროფ. ა.ალადაშვილი
3. პროფ. ნ.ბაქრაძე
4. პროფ. თ.მახათაძე
5. მმდ. დ.გორდელაძე
6. მმკ. ო.ვასაძე
7. მმკ. თ.ლორთქიფანიძე
8. მმკ. თ.გაფრინდაშვილი
9. მმკ. თ.არეშიძე
10. ექიმი ლ.კალანდაძე

27.11.95

საქართველოს რესპუბლიკა
ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტრო
REPUBLIC OF GEORGIA
MINISTRY OF HEALTH
01
1 12 1995 წ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

[illegible] [illegible] [illegible] [illegible]

1.12.95 | 27.11.95

საქ. [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible]

დამფუძნებელთა [illegible] ჩატარების შესახებ.

ა/წ. 8 დეკემბერს, 14.00 სთ-ზე.

შ.ნ. ა. [illegible]

შ.ნ. ა. [illegible]

[illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible].

ა. [illegible]
29.11.95

საქართველოს ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა
ასოციაციის დამფუძნებელთა კონფერენციის
ოქმი № 1

1995 წლის 8 დეკემბერს, ქ.თბილისში ჩატარდა საქართველოს ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა ასოციაციის (შემდგომში ასოციაცია) დამფუძნებელთა კონფერენცია.

**კონფერენციის თავჯდომარე:** პროფ. ა.გამყრელიძე.
**კონფერენციის მდივანი:** ქ. [illegible]
**კონფერენციას ესწრებოდნენ:**
ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელი (იხ. დანართი № 1).

**დღის წესრიგი:**

1. საქართველოს ჯანადაცვის მინისტრის ა.ჯორბენაძის მოხსენება თემაზე: „საქართველოში ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების პროცესში პირველადი სამედიცინო დახმარების სისტემის პრიორიტეტულობა".
2. საინიციატივო ჯგუფის წევრის პროფ. ა.ალადაშვილის მოხსენება თემაზე თემაზე: „საოჯახო მედიცინის როლი თანამედროვე ეტაპზე ჯანდაცვის სისტემისა და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების განვითარების საქმეში".
3. ასოციაციის წესდების პროექტის განხილვა.
4. ასოციაციის პრეზიდიუმის, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.

**მოისმინეს:**

1. საქართველოს ჯანადაცვის მინისტრის ა.ჯორბენაძის მოხსენება, რომელშიაც ხაზგასმით იყო აღნიშნული საქართველოში პირველადი სამედიცინო დახმარების სისტემისა და მისი ძირითადი ნაწილის - საოჯახო მედიცინის განვითარების მნიშვნელობა ჯანდაცვის სისტემის მიმდინარე რეფორმის წარმატებით დამთარების საქმეში.

2. პროფ. ა.ალადაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საოჯახო მედიცინის ძირითადი პრინციპების, აგრეთვე ისაუბრა ჯანდაცვის თანამედროვე სიტემაში ოჯახის ექიმის ფუნქციებისა და უმნიშვნელოვანესი როლის შესახებს.

**განიხილეს:** საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ასოციაციის წესდების პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:**

პროფ. გ.ვასაძემ, პროფ. შ.შურღაიამ, ექიმმა გ.გოგოძემ, რომლბმაც ილაპარაკეს საქართველოში საოჯახო მედიცნის განვითარების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ და მხარი დაუჭირეს ასოციაციის დაფუძნებას.

ქ. ქუთაისის წარმომადგენლები ი.ჟორჟოლიანი და ვ.კვანტალიანი გამოთქვეს აზრი, იმის შესახებ, რომ საქართველოში ჯანდაცვის სისტემის დეცენტრალიზაციასთა დაკავშირებით, მიზანშეწონილი იქნება ასოციაციის ფილიალების შექმნა რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში. ამიტომ წესდების პროექტში საჭიროა შესაბამისი პუნქტის დამატება.

**კენჭისყრაზე დააყენეს:**

კონფერენციის თავჯდომარემ პროფ.ა.გამყრელიძემ ღია კენჭისყრაზე დააყენა:

1. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ასოციაციის წესდების პროექტის დამტკიცება,

დამსწრე საზოგადოებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ასოციაციის წესდების პროექტს, აღნიშნული ( ასოციაციის რეგიონალური ფილიალების გახსნის შესახებ ) დამატებით.

2. ასოციაციის პრეზიდენტის არჩევნები.

მმკ. თ.ლორთქიფანიძის ასოციაციის პრეზიდენტობის კანდიდატათ დაასახელა საინიციატივო ჯგუფის წევრი პროფ.ალექსანდრე ალადაშვილი.

სხვა კანდიდატურები დასახელებული არ ყოფილა.

კონფერენციის თავჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა ა. ალადაშვილის ასოციაციის პრეზიდენტად არჩევის საკითხი.

კონფერენციამ ერთხმად აირჩია ა.ალადაშვილი ასოციაციის პრეზიდენტათ.

3. ასოციაციის პრეზიდენტის მოადგილეების არჩევნები.

ა.ალადაშვილმა წარმოადგინა ასოციაციის პრეზიდენტის მოადგილეების კანდიდატურები: პროფესორები - ნოდარ ბაქრაძე, თეიმურაზ მახათაძე და დავით გორდელაძე.

სხვა კანდიდატურები დასახელებული არ ყოფილა.

კრების თავჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა დასახელებული კანდიდატურების არჩევა.

ჩატარდა კენჭისყრა. რომლის შედეგად სამივე კანდიდატი ერთხმად არჩეულნი იყვნენ ასოციაციის პრეზიდენტის მოადგილეებად.

4. ასოციაციის გამგეობის წევრების არჩევნები:

საინიციატივო ჯგუფმა და კონფერენციის მონაწილეებმა ასოციაციის გამგეობის წევრობის კანდიდატებათ დაასახელეს:

პროფ. ნ.ყიფშიძე, პროფ. ყ.ფაღავა, პროფ. გ.ნანეიშვილი, პროფ. გ.ქავთარაძე, პროფ. ნ.ემუხვარი, პროფ. შ.შურღაია, პროფ. ა.კობალაძე, მმკ. თ.გაფრინდაშვილი, მმკ. თ.არეშიძე, მმკ. ო.ვასაძე, მმკ. მ.წვერავა, მმკ. ტ.ნამორაძე, მმკ. ს.თაბაგარი, ექიმები: ნ.კაკაურიძე, რ.თათარაძე, ვ.დობორჯგინიძე, მ.გოგოძე, ბ.შალიკაშვილი, ნ.ქართველიშვილი, მ.კობახიძე, ი.ქაროსანიძე, ლ.შალამბერიძე, ი.ჟორჟოლიანი, ვ.კვანტალიანი, ვ.ბეთლემაძე.

კონფერენციის თავჯდომარემ პროფ. ა.გამყრელიძემ ღია კენჭისყრაზე დააყენა დასახელებული კანდიდატების ასოციაციის გამგეობაში არჩევის საკითხი.

ჩატარდა კენჭისყრა, რომლის შედეგად დასახელებული კანდიდატები არჩეულ იყვნენ ასოციააციის გამგეობის წევრებად.

ამგვარად, ასოციაციის პრეზიდენტის და მისი სამ მოადგილესთან ერთად, ასოციაციის გამგეობაში არის ექიმი.

6. ასოციაციის სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ასოციაციის სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატებად კონფერენციის მონაწილეებმა დაასახელეს: გ.ჩუტკერაშვილი, ა.ინაური, გ.ტურაშვილი.

ღია კენჭისყრის შედეგად დასახელებული კანდიდატურები არჩეულნი არიან ასოციაციის სარევიზიო კომისიის წევრებად.

კონფერენციის თავჯდომარემ პროფ. ა.გამყრელიძემ კონფერენცია დახურულად გამოაცხადა.

კონფერენციის თავჯდომარე
საქართველოს ჯანდაცვის მართვის
ნაციონალური ცენტრის დირექტორი,
მედიცინის მეცნ.დოქტორი, პროფესორი
ა.გამყრელიძე.

კონფერენციის მდივანი
[illegible]

ქ.თბილისი, 08.12.95.